# SZ II







# NS PRODUCT

NS STUDIO 2013 წელს დაარსდა. თავდაპირველად მცირე არქიტექტურულ მოცულობებზე ვმუშაობდით, თუმცა ამავდროულად ავეჯისა და პროდუქტის დიზაინშიც ვატარებდით ექსპერიმენტებს. კომპანიის განვითარებასა და ზრდასთან ერთად ინტერიერის განსხვავებული ელემენტების შექმნა და პროდუქტის დიზაინი ჩვენი თითოეული პროექტის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ სფეროში თითქმის 10-წლიანი გამოცდილების დაგროვების შემდეგ მივიჩნიეთ, რომ უკვე მზად ვიყავით არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის პრაქტიკის პარალელურად შეგვექმნა პროდუქტის დიზაინის ხაზი, რომელიც გაიზიარებდა სტუდიის ერთიან ფილოსოფიას, შეინარჩუნებდა ინდივიდუალიზმს და იქნებოდა დამოუკიდებელი პლატფორმა პროდუქტის დიზაინის იდეების გენერირებისთვის.

NS STUDIO was founded in 2013. Initially, we worked on small-scale architectural projects. Meanwhile, we conducted experiments on furniture and product design. Along with expansion and development of our company, we gained a lot of experience of creating product design and various elements of interior, so this discipline became the essential component of each of our projects. After working in this field for almost ten years, we felt prepared to launch a product design practice that would run concurrently with architectural and interior design practices, share the studio's unified philosophy, maintain individualism, and serve as an independent platform for generating product design ideas.





# GRAVEYARDS AND MANMADE STOOLS

კომპოზიციას მთავარი შთაგონებად ჩვენს მიერ ჩატარებული თბილისის სასაფლაოების ვიზუალური კვლევა უდევს საფუძვლად. პირველადი დაკვირვების შედეგად აღსანიშნავი იყო ხალხის ქმედება აღნიშნულ გარემოსთან მიმართებაში, მათი ფიზიკური და ემოციური კავშირი სივრცეში თავმოყრილ ფორმებთან.

კვლევის ლოკაცია და თემა რაზეც ჩვენი პროექტია აგებული, ბევრისთვის ბუნდოვანი, შეიძლება სევდიანი ან გაუგებარი იყოს, თუ რატომ შეიძლება ეძებო შთაგონება სასაფლაოზე. თუმცა, გულის სიღრმეში აღვიძებს ყველასთვის ნაცნობ შეგრძნებებს: დაბნეულობას, სიცარიელეს, მონატრებას, სევდას, და ამავდროულად, მოგონებით გამოწვეულ სიხარულსაც. სწორედ ამ უთქმელი კომუნიკაციის გადმოტანა იყო მიზანი, როდესაც ინსტალაციის კონცეფციაზე დავიწყეთ ფიქრი.

The primary inspiration for our composition stems from a visual exploration of Tbilisi cemeteries. Upon initial observation, we were impressed by the interactions of individuals with the given environment, noting both their physical and emotional connections to the forms within the space.

Although the location and theme of our research may seem obscure to some, delving into a cemetery for inspiration, the emotions it evokes are universal: confusion, emptiness, longing, sadness, and at the same time, the joy found in memories. Our aim was to capture this unspoken communication as we conceptualized the installation.



# INSPIRAITION

სკამი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია პროდუქტის დიზაინის სფეროში. თუმცა, სასაფლაოს სივრცეში წარმოდგენილი სკამები უმეტეს შემთხვევაში იქ მხოლოდ თავიანთი უპირველესი ფუნქციისთვის არსებობენ. მეორეხარისხოვანია მათი კომფორტი, ერგონომიკა და ვიზუალური მხარე. მთავარია მყარად იყოს დაფიქსირებული და აქ მომსვლელ სტუმარს ხანმოკლე დროით გაჩერების საშუალება მიეცეს. ვიზუალური კვლევის შედეგი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ჩვენთვის, რომ გადავწყვიტეთ ეს ინფორმაცია ინსტალაციის სახით დაგვემუშავებინა და წარმოგვედგინა კონკრეტული ფორმების, მასალებისა და იდეების სახით.

დაკვირვების შედეგად თვალსაჩინო გახდა ფაქტი რომ, ფუნქციური საჭიროებისა და ხელთ არსებული სტანდარტული მასალების გათვალისიწნებით, რიგითი ადამიანი ქმნის ელემენტს, რომელიც მიმზიდველი ხდება თავისი ბრუტალური, პრიმიტიული იერსახით. აღმოჩნდა, რომ აქაც შესაძლებელია „სკამების“ დაჯგუფება კატეგორიებად : ფორმის, მასშტაბის და მასალის შესაბამისად. კონკრეტულად ჩვენი ინსტალაციისთვის შეირჩა ლითონის მასალაში შესრულებული სწორკუთხა და მრუდი ფორმებით გამოკვეთილი სკამის სილუეტი.

While a chair is a major element in product design, those found in cemeteries mainly serve a basic, utilitarian purpose. Comfort, ergonomics and visual appeal take a back seat to the primary function of providing a brief rest for a visitor. The fascinating findings from our visual research inspired us to transform the information into an installation, showcasing it through carefully selected shapes, materials, and ideas.

Through our observations, it became apparent that a regular individual, driven by functional needs and basic materials at hand, creates an element that becomes captivating with its brutal, primitive appearance.It became evident that in this context, we can group “chairs” based on shape, scale, and material. For our installation, we selected the silhouette of a chair made from metal with rectangular and curved shapes.





# SZ II





# CHAIR

235cm x 90cm x 75cm

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲙᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐᲖᲔᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘᲗ, ᲰᲐᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲥᲪᲔᲕᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ. ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲜᲡᲢᲐᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲙᲠᲐᲕᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐᲡ.

The leading element of the composition is a chair elevated on a platform. The minimalist shape, crafted from non-ferrous metal, draws attention with its lightness and airiness. Surrounding it are two additional elements that ultimately wrap the whole concept.The remaining two elements of the installation are built around it, culminating the entire concept.



















Tbilisi, Georgia
Bazaleti str. 3
0322 64 42 44
info@nsproduct.ge
nsproduct.ge